ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
სამაგისტრო პროგრამა

კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	**მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი**
პროგრამის დასახელება	**პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები**
პროგრამის დასახელება ინგლისურად	**Political Science and International Relations**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	• **პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი (Master of Political Science)** • **საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი (Master of International Relations)**
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	4 სემესტრი/120 კრედიტი (1 კრედიტი = 25 საათი)
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2011 წელს და განახლდა 2021 წელს. პროგრამის განახლება შესაძლებელია ყოველი სასწავლო სემესტრის დაწყებამდე, პროგრამისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
პროგრამის ხელმძღვანელი	გიორგი ნოდია

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი.

მაგისტრატურაში მიღება ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე. შიდასაუნივერისტეტო ზეპირი გამოცდის (გასაუბრება, ფარგლებში მოწმდება სტუდენტის დარგობრივი ცოდნა, და მოტივაცია; კანდიდატების ინგლისური ენის კომპეტენცია (მინუმუმ B2-1 დონე) მონწმდება შესაბამისი ტესტის საფუძველზე .

შიდასაუნივესრიტეტო გამოცდასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში "მიღება".

პროგრამის მიზნები

სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ანალიტიკური უნარებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი პოლიტიკის მეცნიერების/საერთაშორისო ურთიერთობების დარგში, რომელიც შეძლებს არჩეული სპეციალიზაციის სფეროში არსებული აქტუალური საკითხების დამოუკიდებლად შესწავლას, შესაბამისი თეორიების, თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით და იქნება კონკურენტუნარიანი, როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ასევე სწავლების შემდგომ საფეხურზე.

პროგრამას აქვს ორი მიმართულება: *პოლიტიკის მეცნიერება* და *საერთაშორისო ურთიერთობები*

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების მიზანია სტუდენტს მისცეს სისტემური ცოდნა დარგის საკვანძო თეორიების, თანამედროვე დებატებისა და მეთოდოლოგიური საკითხების შესახებ.ამავდროულად, მიმართულების მიზანია სტუდენტს მისცეს სიღრმისეული ცოდნა თანამედროვე პოლიტიკური სისტემების,

ინსტიტუტების და აქტორების შესახებ და განუვითაროს პოლიტიკური პროცესების მეცნიერულად შესწავლის და ანალიზის უნარები, მათ შორის კომპარატივისტულ ჭრილში.

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების მიზანია სტუდენტს მისცეს სისტემური ცოდნა დარგის საკვანძო კონცეფციების, თეორიების და მეთოდოლოგიური საკითხების შესახებ. ასევე, მიმართულება მიზნად ისახავს სტუდენტს მისცეს სიღრმისეული ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის ძირითად ქვედარგებში, კერძოდ უსაფრთხოების კვლევებში, საერთაშორისო პოლიტიკურ ეკონომიაში, მშვიდობის და კონფლიქტის კვლევებსა და და საგარეო პოლიტიკის ანალიზში მიმდინარე თეორიული და მეთოდოლოგიური დებატების შესახებ. ასევე, მიმართულება ორიენტირებულია სტუდენტებს განუვითაროს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალურ საკითხებზე კრიტიკულად რეფლექსიის და და საკუთარი მოსაზრებების ზეპირი და წერილობითი ფორმით ჩამოყალიბების უნარები.

სწავლის შედეგები

პროგრამის კურსდამთავრებულს (ი) :

1. ავლენს სიღრმისეულ ცოდნას პოლიტიკის მეცნიერების /საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი სკოლების, თეორიების, თანამედროვე კონცეფციების და მიდგომების შესახებ,რომელსაც იგი იყენებს დარგის აქტუალური საკითხების/პრობლემების/მოვლენების ანალიზისთვის;
2. ავლენს სისტემურ ცოდნას პოლიტიკის მეცნიერებაში/საერთაშორისო ურთიერთობებში მიმდინარე თანამედროვე დებატების,დარგისთვის აქტუალურ ონტოლოგიურ და ეპისტემოლოგიურ, თეორიულ და მეთოდოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით;
3. ამღავნებს სიღრმისეულ ცოდნას ინსტიტუციური არქიტექტურისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესების შესახებ საერთაშორისო ურთიერთობების/პოლიტიკის მეცნიერების სფეროში;
4. დამოუკიდებლად იკვლევს პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დარგებში არსებულ აქტუალურ საკითხებს რელევანტური კვლევითი მეთოდების გამოყენებით განხორციელებული კვლევის საფუძველზე;
5. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით კვლევის შედეგებს, საკუთარი დასკვნებს ასაბუთებს არგუმენტირებულად როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო აკადემიური თუ პროფესიული საზოგადოებების წინაშე, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
6. მოქმედებს ავტონომიურად სწავლისა და კვლევის პროცესში და ავლენს საკუთარ მეცნიერულ ხედვასა და დამოკიდებულებას (scientific attitude).

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- ამჟღავნებს სისტემურ ცოდნას პოლიტიკის მეცნიერების თანამედროვე დებატების, დარგისთვის აქტუალურ ონტოლოგიურ და ეპისტემოლოგიურ, თეორიულ და მეთოდოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით;
- ამჟღავნებს სისტემურ ცოდნას სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების და ტექნიკების შესახებ;
- ავლენს კომპლექსურ ცოდნას პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების, ინსტიტუტების, აქტორების და პროცესების შესახებ, მათ შორის კომპარატივისტულ ჭრილში;
- აანალიზებს და კრიტიკულად რეფლექსირებს რეალური პოლიტიკის აქტუალურ საკითხებსა და გამოწვევებზე;

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული(ს):

- ავლენს კომპლექსურ ცოდნას საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში მიმდინარე თანამედროვე დებატების, დარგისთვის აქტუალურ ონტოლოგიურ და ეპისტემოლოგიურ, თეორიულ და მეთოდოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით;

- ავლენს კომპლექსურ ცოდნას სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების და ტექნიკების შესახებ;
- ამჟღავნებს სისტემურ ცოდნას საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ქვედარგების: უსაფრთხოების კვლევების, საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის, მშვიდობის კვლევების და საგარეო პოლიტიკის ანალიზის კლასიკური და თანამედროვე თეორიების და საკითხების შესახებ;
- აანალიზებს და კრიტიკულად რეფლექსირებს საერთაშორისო პოლიტიკის თანამედროვე პრობლემებზე;
- აიდენტიფიცირებს საერთაშორისო და საგარეო პოლიტიკის, უსაფრთხოების და კონფლიქტების სფეროებში აქტუალურ პრობლემებს და შესწავლის მათ შორის საუკეთესოს გამორჩევის ხერხებს

სწავლების მეთოდები

სასწავლო პროგრამაში გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:

- ლექცია
- სემინარი
- პრაქტიკული სამუშაო
- პროექტები
- ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა
- დემონსტრირების მეთოდი
- დისკუსია/დებატები
- ელექტრონული სწავლების ელემენტები
- სიტუაციური თამაშები/სიმულაციები
- გონებრივი იერიში
- შემთხვევის შესწავლა
- სუპერვიზია
- რეფლექსია

შენიშვნა: *პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები მითითებულია შესაბამის სილაბუსებში/კონცეფციებში.*

სასწავლო პროგრამის სტრუქტურა

მიმართულება - პოლიტიკის მეცნიერება

პროგრამის **პოლიტიკის მეცნიერების** მიმართულების დასრულებისთვის და პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა პროგრამის სასწავლო კომპონენტებიდან უნდა გაიაროს:

1. პროგრამის სავალდებულო კურსების მოდულის **30** კრედიტი;
2. მინიმუმ **42** კრედიტი პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების დარგობრივი (სავალდებულო-არჩევითი) კურსების მოდულიდან.
3. თავისუფალი არჩევის წესით დააგროვოს მაქსიმუმ **18** კრედიტი, ამ პროგრამიდან ან სამაგისტრო საფეხურის ნებისმიერი სხვა პროგრამიდან;
4. დაიცვას **30** კრედიტის მოცულობის სამაგისტრო ნაშრომი პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით.

მიმართულება - საერთაშორისო ურთერთობები

პროგრამის **საერთაშორისო ურთიერთობების** მიმართულების დასრულებისთვის და "საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის" აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა პროგრამის სასწავლო კომპონენტებიდან უნდა გაიაროს:

1. პროგრამის სავალდებულო კურსები - **30** კრედიტი;
2. მინიმუმ **42** კრედიტი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების დარგობრივი (სავალდებულო-არჩევითი) კურსებიდან.
3. თავისუფალი არჩევის წესით დააგროვოს მაქსიმუმ **18** კრედიტი, ამ პროგრამიდან, ან სამაგისტრო საფეხურის ნებისმიერი სხვა პროგრამიდან;
4. დაიცვას **30** კრედიტის მოცულობის სამაგისტრო ნაშრომი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით.

შეფასების წესი

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილია თითოეული საგნის სილაბუსში.

შენიშვნა: *შეფასების მეთოდები, კომპონენტები, მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.*

განმავითარებელი შეფასების მიღებისთვის სტუდენტებს შეეძლებათ კვირაში ერთხელ შეხვდნენ პროფესორებს მათ მიერ გამოყოფილი საკონსულტაციო საათის ფარგლებში.

დასაქმების სფეროები

პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს შეუძლია დასაქმდეს შემდეგ სფეროებში:

პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებზე მომუშავე , საჯარო სამსახურში, საზოგადოებრივ და კერძო სექტორში, საერთაშორისო ორგანიზაციებში.შესაბამისი პროფილის კვლევით ცენტრებსა და აკადემიურ ინსტიტუტებში.

პროგრამის დამთავრება საშუალებას აძლევს სტუდენტს სწავლა განაგრძოს დოქტორანტურაში.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა „არგუსი“;
- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა E-learning და მასში ინტეგრირებული პროგრამა Turnitin
- უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრები;
- სალექციო აუდიტორიები;
- ლემან ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლა;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ელექტრონული რესურსები (მათ შორის სამეცნიერო
- ელექტრონული ბაზები - ScienceDirect, Scopus, PsycInfo, Heinonline, Thomson Reuters,
- ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Cambridge Journals, DOAJ, ebrary, Oxford Journals და
- სხვა);
- უნივერსიტეტის სოციალური და კულტურის კვლევების ინსტიტუტი;
- სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტის კვლევითი ბაზები;
- მეხსიერების კვლევების კავკასიური ცენტრი;
- SOVLAB - საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია;
- სააუდიტორიო/სამუშაო სივრცეები;
- უნივერსიტეტის მულტიმედია-ბიბლიოთეკა;
- Erasmus + გაცვლითი პროგრამები მაგისტრანტებისთვის;